ოლიმპიადა მშობლიურ ენაში

I ტური – მე-10 კლასი (შემოდგომა, 2025)

I სავარჯიშო: მორფოლოგია. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

1. **რომელი სიტყვაა ზმნა?**
   ა) მწვანე ბ) მოვიდა გ) მზე
2. **რომელი სიტყვაა რიცხვითი სახელი წინადადებაში: „კლასში ათი მოსწავლე დარჩა.“?**
   ა) მოსწავლე ბ) ათი გ) კლასში
3. **ზედსართავი სახელის რომელი ფორმაა უფროობითი ხარისხის?**
   ა) მწვანე ბ) მოშავო გ) ულამაზესი
4. **რომელ წინადადებაშია გამოყენებული ნაცვალსახელი?**
   ა) მან ყველაფერი კარგად გააკეთა.
   ბ) ლაშა კალათბურთს თამაშობდა.
   გ) ნათია სკოლაში წავიდა.
5. **რომელ წინადადებაშია გამოყენებული შორისდებული?**
   ა) დილიდანვე უცნაურად აეკვიატა ეს აზრი.
   ბ) დავითი სკოლაში არასოდეს იგვიანებს.
   გ) ვაშა, ქართველნო, გავიმარჯვეთ!

სავარჯიშო ალტასგან. გისურვებთ წარმატებას!

II სავარჯიშო: სინტაქსი. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

6. **რას გამოხატავს თხრობითი წინადადება?**
   ა) კითხვას
   ბ) ბრძანებას
   გ) რაიმე ამბის ან ფაქტის გადმოცემას
7. **რომელია რთული წინადადება?**
   ა) როცა მოვა, უთხარი ყველაფერი.
   ბ) წიგნი მაგიდაზეა.
   გ) თოვს.
8. **რომელია მარტივი წინადადება?**
   ა) დედა მოვიდა.
   ბ) ის ისე წასულა, რომ არავის გაუფრთხილებია.
   გ) წიგნი, რომელიც წავიკითხე, ძალიან საინტერესოა.
9. **რომელი კავშირია მაპირისპირებელი?**
   ა) რომ ბ) და გ) მაგრამ
10. **წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა: „ეს არის დღე, რომელსაც <u>ველოდებოდი</u>.“?**
    ა) შემასმენელი ბ) ქვემდებარე გ) დამატება

III სავარჯიშო: წინადადების წევრები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

11. **რომელია ქვემდებარე წინადადებაში: „მარიამი წერს წერილს.“?**
    ა) მარიამი ბ) წერილს გ) წერს
12. **წინადადებაში „დავითმა წერილი დედას მისწერა.“ ვინ არის მოქმედი პირი?**
    ა) წერილი ბ) დავითმა გ) დედას

13. რომელ წინადადებაშია ამხსნელ-დამაზუსტებელი?

ა) სახლი აშენდა.

ბ) ხეები დარგეს.

გ) გიორგი, ჩვენი მეზობელი, დაბრუნდა.

14. რომელი სიტყვაა გარემოება წინადადებაში: „ის ჩუმად შემოიპარა ოთახში.“?

ა) ჩუმად ბ) შემოიპარა გ) ის

15. რომელ წინადადებაშია ადგილის გარემოება?

ა) მან იცის სიმართლე.

ბ) ბავშვი ლაღად თამაშობდა.

გ) ბავშვი ეზოში თამაშობდა.

IV სავარჯიშო: მართლწერა. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

16. რომელია სწორად დაწერილი სიტყვა?

ა) მშვენივრულად ბ) მშვენივრად გ) მშვენიერათ

17. რომელ წინადადებაშია დაშვებული შეცდომა?

ა) დღეს არ წვიმს.

ბ) ქარი ქრის.

გ) ნინი დილით გამომაკითხა.

18. რომელი ვარიანტია სწორი?

ა) ამშენებელობა ბ) აღმშენებლობა გ) აღმშენებელობა

19. ზმნის რომელი ფორმაა სწორი წინადადებისთვის: „მან ..... სწრაფად.“?

ა) იარებდა ბ) იარა გ) იარონ

20. რომელ შესიტყვებაშია განსაზღვრება სწორად შეთანხმებული?

ა) ჩემ წიგნმა ბ) ჩემ წიგნო გ) ჩემს წიგნს

V სავარჯიშო: პუნქტუაცია. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

21. რომელ წინადადებაშია საჭირო მძიმის დასმა?

ა) ნანა მოდი აქეთ. ბ) დედა მოვიდა. გ) ქარი ჩადგა.

22. რომელ წინადადებაში არ არის საჭირო მძიმე?

ა) ია წავიდა.

ბ) ია წავიდა მაგრამ თათა დარჩა.

გ) ია წავიდა თუმცა თათა დარჩა.

23. რომელ წინადადებაშია სასვენი ნიშნები სწორად დასმული?

ა) გთხოვ, არ წახვიდე? ბ) გთხოვ არ წახვიდე. გ) გთხოვ, არ წახვიდე!

24. რომელ წინადადებაშია სასვენი ნიშნები სწორად დასმული?

ა) მან თქვა: „ხვალ შევხვდეთ.“

ბ) მან თქვა:? ხვალ შევხვდეთ.

გ) მან თქვა ხვალ, შევხვდეთ.

25. რომელი წინადადებაა პუნქტუაციურად გამართული?

ა) როცა მივედი ყველა წასულიყო.

ბ) როცა მივედი! ყველა წასულიყო?

გ) როცა მივედი, ყველა წასულიყო.

VI სავარჯიშო: ტექსტის გააზრება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

ქალაქი მცხეთა

მცხეთასა და მის შემოგარენში არქეოლოგიური გათხრები ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. ინტენსიური კვლევა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან გაჩაღდა, რასაც მრავალი სამეცნიერო აღმოჩენა მოჰყვა. აღმოჩნდა, რომ მცხეთა და მისი მიდამოები ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდანვე იყო დასახლებული, მოგვიანებით კი აქ ძლიერი ურბანული ცენტრი – „დიდი მცხეთა“ ჩამოყალიბდა.

ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში მცხეთა ქართლის სამეფოს დედაქალაქი გახდა. ლეგენდის თანახმად, მისი დამაარსებელია მცხეთოსი. ასევე ლეგენდის თანახმად, ფარნავაზი სწორედ მცხეთაში მოღვაწეობდა და უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლაში გაიმარჯვა. ქალაქის აღმავლობა მის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას უკავშირდება.

ანტიკურ ხანაში მცხეთა სხვადასხვა უბნისგან შედგებოდა, რომლებიც ეკონომიკური და სოციალური ფუნქციებით განსხვავდებოდა. ქალაქში ვითარდებოდა მეურნეობის სხვადასხვა დარგი, ხელოსნობა და ვაჭრობა. სახელოსნოები, ციხესიმაგრეები და საკულტო ნაგებობები „დიდი მცხეთის“ თავდაცვით და ადმინისტრაციულ სისტემას ქმნიდა.

ძვ. წ. 65 წელს რომაელთა ლაშქარმა პომპეუსის სარდლობით არმაზციხე აიღო. შემდგომში იბერია რომთან „მეგობრულ“ ურთიერთობებზე გადავიდა. მრავალი ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური ძეგლი მოწმობს იბერიის რთულ სახელმწიფო მოწყობას, სამეფო ოჯახების არსებობასა და მმართველობის მემკვიდრეობითობას.

IV საუკუნიდან ქართლში ქრისტიანობა გავრცელდა. მეფე მირიანის მეფობისას ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა და დღევანდელი სვეტიცხოვლის ადგილას პირველი ეკლესია აშენდა. მოგვიანებით, VI საუკუნეში, დედაქალაქი თბილისში გადავიდა, მცხეთამ კი ისტორიული და რელიგიური ცენტრის ფუნქცია შეინარჩუნა.

26. როდის დაიწყო მცხეთაში არქეოლოგიური გათხრები?

ა) XVIII საუკუნის ბოლოს
ბ) XIX საუკუნის 70-იან წლებში
გ) XX საუკუნის დასაწყისში

27. რომელი ფაქტორი იყო ქალაქის აღმავლობის ერთ-ერთი მიზეზი?

ა) დიდი მოსახლეობა
ბ) ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა
გ) ოაზისური კლიმატი

28. ვინ ითვლება მცხეთის დამაარსებლად ლეგენდის მიხედვით?

ა) მცხეთოსი ბ) დავით აღმაშენებელი გ) ზევახი

29. რომელმა მეფემ გამოაცხადა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ქართლში?

ა) ფარნავაზმა ბ) ვახტანგ გორგასალმა გ) მირიანმა

30. რა მოხდა ძვ. წ. 65 წელს მცხეთაში?

ა) რომაელებმა არმაზციხე აიღეს
ბ) პომპეუსმა სვეტიცხოველი დაანგრია
გ) თამარი გამეფდა

31. ვისი სარდლობით აიღეს რომაელებმა არმაზციხე?

ა) ცეზარის ბ) ტრაიანეს გ) პომპეუსის

32. ტექსტის მიხედვით, როგორი იყო იბერიის სახელმწიფო მოწყობა?

ა) საპარლამენტო ბ) საპრეზიდენტო გ) რთული

33. რად იქცა მცხეთა ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში?

ა) სასულიერო ცენტრად
ბ) ქართლის სამეფოს დედაქალაქად
გ) მცირე სავაჭრო პუნქტად

34. რა პერიოდიდან ითვლება მცხეთა დასახლებულ ადგილად?

ა) ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან
ბ) შუა საუკუნეებიდან
გ) ელინისტური ეპოქიდან

35. რა სახით ჩამოყალიბდა მცხეთა მოგვიანებით?

ა) სამხედრო დასახლებად
ბ) ძლიერ ურბანულ ცენტრად – „დიდ მცხეთად“
გ) სამეფო მეურნეობად

100-ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 5-ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.

ᲐᲕᲔᲠᲡᲘ AVERSI

36. სიტყვა „გამძლეობა“ გამოხატავს:

ა) სხეულის უნარს, გაუძლოს დატვირთვასა და სტრესს
ბ) ცოცხალ ორგანიზმში არსებულ ენერგიის მარაგს
გ) დასვენების აუცილებლობას

სანტე
ლოკო მოკო

37. „კომპანია „სანტეს“ აქვს მიზანი, განავითაროს ქართული მეწარმეობა და, როგორც ინდუსტრიის ლიდერმა, სიახლეები შეიტანოს რძის პროდუქტების კატეგორიაში.“ რომელი კავშირის ნაცვლად დავსვით მძიმე სიტყვა „მიზანი“-ს შემდეგ?

ა) რომ ბ) როგორც გ) რადგან

38. ფრაზეოლოგიზმი „გული გაუსკდა“ ნიშნავს:

ა) ძლიერ შეეშინდა ბ) გადაიღალა გ) გაიცინა

39. რას ნიშნავს ფრაზა „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“?

ა) ვინც იმოგზაურებს, სამშობლოს დააფასებს
ბ) ადამიანს მხოლოდ ერთი სამშობლო აქვს
გ) უფალი ყველგანაა

40. რომელია ფრაზეოლოგიზმი?

ა) წიგნი წავიკითხე ბ) ხე მაღალია გ) გული გადააყოლა